

რედაქცია

მელიამინოვის ქუჩაზე, პრეტვი ჩაიგეშტოვის სახ-
ლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიამინოვის სტამბაში.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисе. Въ
редакцію Газеты „Дროშка“.

გაზეთის ფასი

წელიწადში—8 მან., ნახევარ წელიწადში—
4 მან. და 50 კაპ.; თვეში—1 მან.
ცალკე წამყრი—ერთი შაურის.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანკ
ცუხულს ენებზე.

განცხადების ფასი

ღიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მოაგრული
სტრიქონზე—8 კაპ., ციცერონი, სტრიქ.—5 კაპ.
და პეტიტით—4 კაპ.

მთ. საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროშა

გამოდის კვირავით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

„დროშის“ რედაქცია სთხოვს
თავის ავტორებს და ხელის-მოწ.
წერლებს, რომ რადგან ეს წელი-
წადი თავდება და ვალე ახალი,
მომავალი წლის ხელის-მოწერა
უნდა გაიმართოს, ამის გამო
წლებადელი გაზეთის ფული,
მისაც არ გამოგზავნია, რაც
შანიძეა ვალე გამოგზავნონ.

ორი თვის ხელის-მოწერა

„დროშაზე“

მიიღება მთლიანად — გაზეთის რედაქ-
ციაში (მელიამინოვის ქუჩაზე, ჩაი-
გეშტოვის სახლებში, № 6); გარეშე
ქალაქებში — „დროშის“ ავტორებთან.

ფასი ორის თვის გაზეთისა ე.
ი. 1 ნომბრიდან მომავალი წლის
1 იანვრამდე — 2 მანეთი. მთელი
წლის სრული ნომრები მხოლოდ რ მ-
დენიშა და რჩენილი, — ღირს — 8 მან.,
ნახევარის წლის — 4 მან. და 50 კაპ.,
ერთის თვისა — 1 მან.

განცხადება

სამ ზრო გამგობასთან მყოფი ქა-
ლების კომიტეტი დეკრეტო და
აეთამყოფ მხედართ საზოგადობისა,
მისის იმპერატორებისთვის შმა-
ლდესობის დიდი მნიშვნისის
მღვათი დორეს ასულის —
ამ საზოგადობის საპატოა წვერის —
ნებართვით, შეუდგება, საზოგადობის
წესდების მე-87 მუხლის ძალით, მო-
ძრავი ლაზარეთებისათვის ღოშპიტ-
ლის ნიეთების დამზადებასა და ამის
გამო მიმართავს ყველას, ვისაც კი
სურვილი აქვს, რომ კომიტეტის
სკლადში რამე ნიეთი ან ფული შე-
სწიროს.

საგნები, რომელნიც საქრონი
არაინ სამხედრო ღოშპიტლებისათვის
და რომელიც სამხედრო სანიტარულ
ატრადისათვის აუცილებელ საქი-
როებს შეადგენენ:

ზნისა და თივის ტომრები (ბარდ-
ნები) 3 არშინი სიგრძე (6 არშინი
პარუსინა.)

ჩარსაგები, თითო 3 არშინი სიგრძე.
ბალიშის-პირები 1 არშინი და მე-
ოთხნედი ოთხ-კუთხი.

შურა მდარე ბალიშის-პირები
ტიკის მატერიისა, იმავე სიგანისა.

შალის საბნები

შლანელის ხალათები

პერანგები

ნიფხები

პირსაზოცები, 2 არშინი სიგრძე

(11-12 კაპ. არშინი ტილო)

სხვირ-სახოცები

ნაქსოვი წინდები ანუ ტილოს

ფსახევიები

სარეცხის საპონი

ღრუბლები

ბანდაჟები 3-4 თითის სიფართე

და 5-15 არშინი სიგრძე, ფლანელის,
ქარლისა და ტილოს, შეუკერავი.

ქორპი სუფთა, წმინდა ტილოსი
6 მასინები სხვა და სხვა მატერიე-
ბისა გადაუკეცილი (ოთხ-კუთხი, არ-
შინი და ნახევარი).

სალამური ქუდები ძაფისა ანუ
წმინდა ზორნალისაგან ნაქსოვი (თა-
ვის დაჭრილობისათვის).

მუცლის ბალიშები ფლანელისა.

ღიდის მადლობითა მიიღება აგ-
რეთვე: მაუდი, ტილო, ფლანელის
შეუკერავი ნაქრები, აგრეთვე დასა-
კეცი კრავატები, სხვა და სხვა ქურ-
ქელი მადნეული, შენახული დაჩ.ჩ-
ხული საქმელები, ჩაი, შაქარი და სხ.
პირნი, რომელნიც კომიტეტის
კაცთ-მოყვარეობის მიზანს თანაუგრ-
ძნობენ, თანაინთ შესაწირავის გამოგ-
ზავნას ინებებენ შემდგენის ადრესით:
საზოგადობის სამაზრო მამგობის
ხაზინადარს ღენერალ-მაიორს რერ-
ბერგს (Казначейю Окружного Упра-
вления Общества Генерал-Майо-
ру Перберю).

(3-3)

საქართველო

ომის მოლოდინი

მთქცა ჯერ გადაწყვეტილი არა
არის რა, მაგრამ კაცს ვერ ნახავთ
ამ ქამად ჩვენში, რომ ამ მოკლე
ღროში ომიანების დაწყებას არ მო-
ვლოდეს; და როგორც ამისთანა
დროს შეეფერება, ყველა რაღაც
უჩეულებრივო ფცა-ფუცში და
მღელვარებაშია.

მთქცა ჯერ თვით დიპლომატებ-
მაც არა იციან რა, რადგან ყველა-
ფერი იმ კონჭერენციაზედ არის და-
მოკიდებული, რომელიც სტამბოლს
უნდა შეიკრიბოს და რომლის გადა-
წყვეტილების მიღებით რუსეთმა და
მ. ძალამ ძალიან ადვილად შეიძ-
ლება ომიანობა თავიდან აიცილონ;
მაგრამ ჩვენი ხალხი მზადებას ჰხედავს
და ამის გამო დარწმუნებულია, რომ
ომიანობა უეჭველად იქნება, და
თავის თადარიგს იჭერს და ემზადება.

როცა მტერს მოვლი, რასაკვირ-
ველია, რიგია, რომ იმის ღირსეუ-
ლად დასახვედრად და თავის არსე-
ბობის დასაცველად მზად იყო. მაგ-
რამ, ვამბობთ, ჯერ გადაწყვეტილი
არ არის: იქნება ომი, თუ არა? ზო-
გიერთები იმასაც ამტკიცებენ, რომ
ეს მზადება სულ იმისთვის არის, რა
მომწინააღმდეგეთ ერთმანეთი
დააშინონ — რა-და ხო ხედავ, რომ
ბრძოლისათვის მზად ვარო, და ამ
გვარის ხერხის შემწეობით სტამბო-
ლის კონჭერენციაზე თავისი გაიტა-
ნონო.

რაც უნდა იყოს, ჩვენ გვაზადე-
ბენ ომისათვის. შეველამ ვიცი — თუ
როგორი მზადება რუსეთში; შევი-
ტყეთ აგრეთვე ის მკვიდრი სიტყვა,
რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა
უთხრა მოსკოვის საზოგადობას; წა-

ვიკითხეთ რუსეთის უცხო ქვეყნების
საქმეთა მინისტრის კანცლერის თ.
ბარჩაკოვის ცირკულიარი რუსეთი-
სავე დიპლომატურ აგენტებთან, რა-
მელშიაც ის იწერება, რომ რუსეთს
მშვიდობიანობა ჰსურსო; მაგრამ ისე-
თი მშვიდობიანობა, რომ იმის სახე-
ლი, პატივი და მოთხოვნილებანი
შეწყნარებული და დაცული იქმნენო.

ამას გარდა აქ, ჩვენს ქალაქში ამ-
ქამად შეკრებილი არიან ძავეკასიის
უწარჩინებულესი ღენერლები და ლუ-
ბერნიის მმარშლები და მოლაპარა-
კება აქეთ იმაზე — თუ როგორ უნ-
და გამოიყენონ მილიცია, როგორ
წესები, რა გვარი იარაღი უნდა
იყოს იმაში და რა შემწეობის მიცე-
მა შეუძლიან ამ მილიციას ომიანო-
ბის დროს.

ეს უკანასკნელი საგანი ახლა ყვე-
ლაზე უფრო საყურადღებოა ჩვენთ-
ვის. საყურადღებოა იმიტომ, რომ
აქაურმა სამხედრო რჩევამ გადაწყვი-
ტა, რომ მილიცია უეჭველად უნდა
მოიკრიბოს და დაიარაღდესო; ზოგი
ნაწილი ამ მილიციისა ბრძოლის ვე-
ლზე უნდა გაეიდესო და ზოგი კი
ადგილობრივ უნდა დარჩეს ყარაუ-
ლათაო.

მილიციას, უეჭველია, თოფებს და-
ურიგებენ და სამხედრო ხელობის
სწავლებას დაუწყებენ...

შემდეგ როგორ მოიქცევიან ისი-
ნი, რა კაცობასა და ვაჟ-კაცობას გა-
მოიჩენენ, — ეს იმათ ქართველობაზე,
იმათ გამჭრიახობაზე იქნება დამოკი-
დებული. ამ თავითვე ჩვენ მხოლოდ
ერთის თქმა შეგვიძლიან: რომ ქარ-
თველი ქართველობას, თავის სამშო-
ბლოს სიკეთესა და სარგებლობას
არ დაივიწყებს ამ საზოგადო შეტა-
კებისა და გაჭირების დროს...

ს. მ.

დღიური

რუსეთის სხელმწიფო ბანკმა ამ
ნომბრის 5-ს გამოაცხადა ხელის-
მოწერა მეოთხე 5% (ხუთ-სარგებ-
ლიან) ბანკის ბილეთების გამოცე-
მაზე. ბილეთები გამოიკემა სულ
ასი მილიონისა, ბილეთები ორ-გვა-
რის ფასისა იქნება — ათ თუმნიანი და
ორმოც-და-ათ თუმნიანი. ათ თუმ-
ნიანი ბილეთის ყიდვა ხელის-მოწე-
რის დროს 92 მანეთად შეიძლება.
მეთერთ ხელის-მოწერა კი გამარ-
თულია სახელმწიფო ბანკში და იმის
განყოფილებებში, (სხვათა შორის
მთლიანშიაც).

„მმართველობის მოამბეში“ გა-
მოცხადებულია, რომ ამ სესხის და-
ნიშნულება ის არის, რომ დაფა-

როს ის ხარჯი, რაც ახლანდელ ზო-
ლიტიკურ გარემოების გამო სახელ-
მწიფო ხაზინას მიეცაო.

* *

ჩვენ შევიტყეთ, რომ რამდენსამე
პირს ჩვენს ქალაქის ღარიბის მოსწა-
ვლე ქალების დამხმარებელი კომი-
ტეტის, შედგენა განუზრახავთ. კო-
მიტეტს, როგორც ვითხრეს, განსა-
კუთრებული ყურადღება ექნება მიქ-
ცეული იმ ქალებზე, რომელნიც აქა-
ურ საქალებო გიმნაზიაში, პროგიმ-
ნაზიაში და საზოგადოთ საშუალ სას-
წავლებლებში სწავლობენ და ღო-
ნის-ძიება არა აქეთ, რომ სწავლის
ფული თავის დროზე შეიტანონ.

ამბობენ, რომ ამ განზრახვითვე
ამ მოკლე ხანში აქაურს თეატრში
ერთი ქართული წარმოდგენა გაიმარ-
თებოა, რომლის შემოსავალი სა-
ქალებო გიმნაზიაში იმ მოსწავლე
ქალების სასარგებლოდ უნდა გადა-
დგან, რომელთაც გიმნაზიის მთავრო-
ბა სწავლის ფულის შემოუტანლო-
ბისათვის, დათხოვნას უპირებსო.

* *

მასულს ორშაბათს ქალაქის რჩე-
ვის სხდომა ვერ მოხერხდა, რადგან
19 ხმოვანის მტეი სხდომაზე არ მო-
ვიდა. ქალაქის მთავის წინადადებით,
იქ დამსწრე ხმოვანთა გადაწყვეტეს,
რომ სთხოვონ იმ ხმოვანთ, რომელ-
ნიც არ დაიარებიან ჩვენის სხდომებ-
ზე, რომ იარონ და თუ არ უნდათ
სიარული, მაშინ დაეთხოვონ ამ თა-
ნამდებობას და იმათ ალაგას იმათი
კანდიდატები დაიჭერენ.

* *

ზორის ახალ-ქალაქილამ გვეწერენ,
რომ ამ რამდენიმე დღის წინათ იქ
გაუხსნიათ სასოფლო გამსესხებელ-
შემწახველი ამხანაგობა და თვით ამ-
ხანაგობის გამგენიც ამოურჩევიათ.
ამ ამოჩვენების დროს, როგორც
ჩვენი იქაური კორრესპონდენტი
გვეწერს, ბევრი ლაპარაკი ყოფილა; ორ
თავად სდომებიათ ამოჩვენულ-ყო-
ფილიყვენ გამოგობის წვერათა და
როდესაც ისინი გააშავეს, ძალიან
გაკვირებული და გამწყრალი დარჩი-
ნენო — თუ როგორ გაგვიბედეს ეს
გლენებმაო.

* *

მემო-იმერეთის ზოგიერთ სოფ-
ლებილამ, სხვათა შორის საჩინოდამ,
მოგვივიდა ამბავი, რომ ეს რამდენი
ხანია ჩვენში საშინელი მუცელას
ავთამყოფობა არის გავრცელებულიო
და ძალიან ბევრ ხალხს ჰხოცავსო. პა-
ტრონი არ არის, რომ ამ გაჭირება-
ში ხალხს უშველოსო და ამის გა-
მო ცრუ-მოარწმუნე ხალხი მკითხა-

ვებს მიმართავს და ამათი წყალობით კადე უფრო მეტი ზარალი ეძლევათო. უზღის ექიმი ჩვენში, მგონი, მილიონერებისთვის არის გაჩენილი, რადგან სოფელში ისინი თუ სამი ოთხი და ხან ხუთი თუმანი არ მიეცით, ისე არ წაეღენ, ქალაქიდან ფქს არ მოიცვლიანო.

* *

ზაზეთს „ტეკვში“ მოყვანილია რამდენიმე საინტერესო ცნობა ოფილისის ბიბლიოთეკებზე და საკითხავ კაბინეტებზე. ამ ცნობებიდან ვცნობთ, რომ საზოგადო (სახელმწიფო) ბიბლიოთეკა ოფილისში 1845 წელს გახსნილა; პირველი კერძო ბიბლიოთეკა გაუხსნია უფ. მთვარჯიანს 1850 წ. პირიმის ომიანობის დროს ამ ბიბლიოთეკას 700 ხელის-მომწერი და მკითხველი ჰყოლია; 1864 წ. ეს ბიბლიოთეკა დაიხურა, რადგან საკმაო ხელის-მომწერლები არ ჰყოლია.

ამ ჟამად ოფილისში ორი ბიბლიოთეკაა და სამი საკითხავი კაბინეტი: ივანოვის, გახსნა 1870 წელს. 1873 წლის კატალოგით 1,473 ტომი წიგნი იყო, (ახლა 2,000 მეტია); იმ დროს ხელის-მომწერლები 960 ყვანდა.

ჟონ-ვიხმანის ბიბლიოთეკა და საკითხავი კაბინეტი 1872 წ. გახსნა, 2,000 ტომამდინაა, ხელის-მომწერლები 300-მდინ.

შახ-აზიზოვის ბიბლიოთეკა დაარსდა 1873 წ., კატალოგით 2080 ტომი წიგნია, ხელის-მომწერი—130. აბინეთი შარშან დაიკეტა.

წარილი რედაქტორთან

უ. რედაქტორო! მე მსურდა თქვენ პატივცემულ გაზეთში მეწერა რამ, მარამ ვშიშობ; ახლანდელ დროში თუ ვისმე დაუწერე რამე, ან გამოაშკარავე იმათი ბოროტ-მოქმედება, ან სთქვი რამ მართალი, მაშინათვე დაგაბნელებენ, რომლითაც ისინი თავიდან ჩქარა მოგიშორებენ.

აი, მე ამ შიშით ვფარე ყოველივე ბოროტ-მოქმედება, რომელნიც ასე მრავლობით წარმოსდგებიან ამ ჩვენ საწყალ სოფლებში. მე არ ვამბობ მართლ იმ სოფლებში რომელ სოფელს ან უფხლს მე ვეკუთვნი. არა, მე საზოგადოთ ვამბობ. ჩემთვის სულ ერთია, როგორაც ჩემი მშობელი სოფელი და უფხლი, ასე მთელი საქართველო, როგორც ქართველ კაცისთვის.

ასე გაშინჯეთ, ამ ბოროტ-მოქმედებამ, რომელიც ასე ხშირად წარმოსდგებიან ამ ჩვენ საწყალ დღუპულ სოფლებში ზოგიერთი დაბალი პოლიციის ჩინოვნიკებისაგან, სრულიად აივსო ჩემი გული და აღარ დასტოვა ამაზედ მეტი; დამაფიწყდა შიში, რომელიც ასე ძალიან მაშინებდა და დამაწყებინა წერა.

ამ წელს, სწორეთ არ მახსოვს—რა თვეში, უფრო ვგონებ აპრილში ს. პოლიციის პრისტავს—ს მიეწერა ბრძანება მანაის მამასახლისისათვის, რომლითაც უბრძანებდა წარმოედგინა ხუთი თუმანი და რალაც მომატებული ჯარიმის (შტრაფის) ფული. როდესაც ეს ბრძანება მოსვლოდა მანაის მამასახლისს, გაჰკვირებოდა, რადგანაც იმას იმ წლის ხარჯი, ყოველივე ნედლომკის და შტრაფის ფული სრულდებით შეტანილი ჰქონია ხაზინაში და კვიტანციაც ხელში ჰსჭურია.

მამასახლისს ექცა: ვიდრე ეს ხუთი თუმანი გარდავიხადოვო, ჯერ სწორეთ შევეტყობო: ნამდვილათ მისაც, მსა ვარ თუ არაო. ამისთვის ჩამოსულიყო ძალაქში, მოსულიყო ერთს თავის ნაცნობ ჩინოვნიკთან, რომელიცა მსახურებს ძაზონის პალატაში, შესივლა ყოველივე, ეჩვენებინა კვიტანცია ხაზინისა და ბრძანება ნ—სა. ამაზედ ამ ჩინოვნიკს შევეკრიბა ცნობა როგორაც პალატაში, აგრეთვე ხაზინაში; მარამ ვერც ერთ ალაგს ვერ ვპოვნა ამგვარი ჯარიმა ამ მამასახლისის სოფელზედ. ამ ჩინოვნიკს ეთქო, რომ ამ ნაირი ჯარიმა აქ არსად ამოხნდაო და შენ წადი უფხლის უბრაველენაში და იქ ჰკითხო, რის ძალით გახდენებნო. ამავე ჩინოვნიკმა ამ ბრძანებაზედ ზედ წარაწერა რომ ამგვარი შტრაფი არ აღმოხნდაო.

მამასახლისი იახლა უ. უფხლის ნაჩალიკს; მოახსენა ყოველივე და უჩვენა ბრძანებაზედ ზედ-წარწერა. უ. უფხლის ნაჩალიკმა უბრძანა ერთ საქმეთ-მწარმოებელს, რომ იმას ამისათვის ამაზედ ცნობა მიეცა. საქმეთ-მწარმოებელმა უთხრა, რომ იმათი საქმე არ არის და იმან უნდა მიმართოს უ. პოლიციის პრისტავთან, რომელთაც არის მიწერილი ამაზედ ამაღამ ნომრით, და ნომერსაც მისცემს თორმეტი ათასზედ მომეტებული. აბა გაშინჯეთ აპრილში თუ მისში და თორმეტი ათასი ნომერი?

მარამ ამ მამასახლისს მაინც-და-მაინც თავის ნებით არ ეპირებინა მიცემა ამ ტყუილი ჯარიმის ფული. სა. პოველივე ეს მამასახლისის საქმეები თვითთულათ დაწერილებით შეეტყობინებინათ ნ—სათვის.

ზაანხლებულ ნ—ს მიეცა მამასახლისისათვის ბრძანება, რომლითაც ის უბრძანებდა იმას, რომ დახვედროდა ხალხით რალაც საჭირო საქმის გამო; უნიშნადა ამაზედ ვადას. მამასახლისს ეს ბრძანება აღესრულებინა როგორათაც რიგია, შეეყარნა ხალხი, დახვედროდა ნ—ს დანიშნულ ვადაზედ თავისი ჯაჭვით.

მისთვის უმაღლე ჯერ ცხენიდანაც არ ჩამომხდარიყო ნ—ლი, არც წაეღო და არც მოეტანა, დაეყვირნა საშინლის ხმით: „შენ ჩემს ბრძანებას წინ აღუდგეო, დაძვრები საჩივრათაო! მე გაჩვენებ შენაო და დაგაფიწყებო ძალაქის

გზასაო!“ გაეთაფებინა თუ არა ეს სიტყვები, მიეგლო ცხენი და წაეშინა მათრახით თავსა და პირში. იმ-თენი ცეცმა, ვიდრე მამასახლისი წაქცულიყო. მაშინ ეთქო: „აბა კიდევ გაბედე მაგისთანა საქმეზედ და საჩივარზედ სიარულიო, უფრო მეტი მოგხვდებაო; ამოიდე, ამომეციო, თორემ ტყავს გაგაძროფო.“ ასე დამტვრეული მამასახლისი, რასაკვირველია, უარს ევლარ ეტყოდა, ჩამოსდის თავ-პირიდგან სისხლი, თითონ ველორც კი მოგხერხებებინა ფულის მიცემა, ეთქო ერთ იქ მდგომ კაცი-სათუი, რომ ამას ამოვლო იმის ჯიბიდან და მიეცა პოლიციის პრისტავის ნ—ს. მიელო უ. ნ—ს ეს ფული, მიეცა ამაზედ კვიტანცია, მაგრამ, არა იმ მამასახლისის სახელზედ, რომელსაც ასე საშინლად დამტვრია თავ პირი და რომლისაგანაც ფული მიიღო; იმას ჩაეწერა კვიტანციაში, იმისი მოადგილის სახელი და გვარი, რომელიც ერთი წლის გამოცვლილი იყო იმავე პრისტავის ხელში. მხლა თქვენ იფიქრეთ, რა აზრია ამ უფ. ნ—გან სხვის გვარის ჩაწერა კვიტანციაში.

მს ნაცემი მამასახლისი შეგვდება ცხენზედ გამოსწევს ძალაქში იმ განძრახებით, რომ ის აქ ჰპოვებს თავის მფარველს. მაგრამ... არამ-თუ როგორც რიგია კანონით, მაშინათვე შემოწმებინათ ეს ნაცემი მამასახლისი და ამაზედ დაენიშნათ გამოძიება და შეეტყობინებინათ პროკურორისათვის,—უბრძანა: „ძარგი, გივიხილამ, შენს თხოვნასაო!“

ჩემის ჰზრით დიდი შესანიშნო საქმეა ცემა სახალხოთ მამასახლისისა, რომელსაც ზედ აქვს ჯაჭვი და ასე ძალით წართმევა-ფულისა, თუკაც კადევა-ც ეს ფული ნამდვილი გადასახადი ყოფილიყო. რასაკვირველია ესენი თურმე სულ თვითთულათ აღწერილნი ყოფილა არზაში... აი ამ არზის განკარგულება, რომლითაც შეეცა თურმე იმაში მდგომიარებს, რომ იმ მამასახლისს მეორე მარკა არ წარუდგენია თავის საჩივართან და ამაზედ დაუყენებიათ, მიუწერიათ რომ მოეთხოვნათ იმ მამასახლისისათვის ერთი მარკა; მიეწერა უ. ს. პრისტავსა ნ—თვის, რომ იმას ეს განკარგულება გამოეცხადებინა. აი ეს ჩვენი უ. ნ—ლი იბარებს მანაის მამასახლისს და უცხადებს ამ მიწერილობას ასე: „შენი არზა, რადგანაც უსაბუთო იყავო, ამის გამო შენ უარი გითხრეს ამ შენ საჩივარზედო, უნდა ორი აბაზი ღერბოვის ქალაღის ფული წარადგინო და ამ ხელწერილზედაც ხელი მოაწეროს რომ შენ ეს გამოგეცხადო. ამაზედ მამასახლისი უარს ყოფს, რადგანაც იმან არ იცოდა, რა ეწერა იმ ხელ-წერილში და ვშინოდა არაფერზედ არ მოეწერა ხელი იმისთანაზედ, რომელიც შემდეგ იმისი გასამტყუნარი იქნებოდა და აღარც ფული წარუდგინა. მს, რასაკვირველია, უ. პრისტავს ძალიან იამა; ამის

გამო იმასი საქმე ედებოდა, ვიდრე მარკა არ წარდგებოდა; და იმისაზედ რასმე მისწერენ, ეს პასუხათ შეიტანს რომ არ არდგენსო მარკის ფულსაო. ამით ეს უ. პრისტავი თავიდან იშორებს ჯერ ამისთანა საქმეს და მეფობს.

უ. ნ—ს ეს საქმე პირველი და უკანასკნელი არ არის; მაგრამ, რადგანაც ზოგი დამცველებული არის და მეორეც ესა, რომ ვშიშობ არ შეეაწუხნო მკითხველი ასე გაჭიანურებით, ამისათვის ჯერ ვათავებ ამაზედ წერას და თუ ამაზედ მივიღებ მე პასუხს დარწმუნებული ბძანდებოდეთ, რომ მომავალი ძეგლი და ახალი იმისი მოქმედება მე თქვენ შეგატყობინოთ, და ჩემი შიში დროებით გარდაეღო.


ამ უფალს ნ—ს გამოეცვალა თავისი მფარველი, დანიშნა ახალი ნაჩალიკი, რომელსაც ჯერ ხალხი დიდათ ემ ადლიერება. ამ ახალმა ნაჩალიკმა შემოუარა თავის უფხლს შეეტყო და მოისმინა ყოველივე ხალხის გაჭირება და თხოვნა. ამაზედ ყველანი ემადლიერებინან; მაგრამ არ იქნებოდა ცუდი, რომ ამ ახალ ნაჩალიკს უკან მიეყოლებინა ძველის ნაჩალიკისთვის ზოგიერთი იმისი ძველი ჩინოვნიკები ნაძეტავათ პრისტავები თუ უნდა, რომ იმაზედაც ესე არ ილ. პარაკონ, როგორითაც იმის მოადგილეზედ.

„დროების“ კორექსორდენცია

სიღნაღილამ, ნ ნოემბერს. თქვენს გაზეთში, უფ. რედაქტორო, ხშირად ყოფილა გამოთქმული ჩვენი მხრის სიღარიბე და აგრეთვე ამ სიღარიბის სხვა-და-სხვა მიზეზები. არ ვამტკიცებ, რომ ყველა ის მიზეზები უსაფუძვლონი იყვნენ. მაგრამ თქვენს კორექსორდენტებს ავიწყდებათ ერთი გარემოება, ერთი მიზეზი შიზიყის სიღარიბისა, რომელიც, ჩემის ჰაზრით, ყურადღებაში მისაღებია. მოგახსენებთ:

შიზიყის ხალხი სტუჰართ მოსიყვარულე ხალხია; მდიდარი გინა ღარიბი, დიდის გულხელობითა პურადია და მასპინძლობის ვალდებულობისა მტკიცეთ აღმასრულებელი. არ იფიქროთ, რომ ეს მათგანს დღეს იყოს შემოღებული; იგი გარდმოცემული აქვსთ ძველადვე წინაპართაგან.

ამას გარდა, სადაც რა წმინდის დღესასწაულობა უნდა აყვებს, თუნდ რომ კიდევ ორისა და სამის კვირის საეალზედ, ესე იგი—გწყალობდეთ ალავერდი—იქ, მეთოს წმ. ზიორგის, ზავაზის წმ. ზიორგის, ღვეით ზარეჯას, მცხეთის სვეტი-ცხოველს, მელეთს და სხვათა მრავალთა, ქიზიყელი არ შეუშინდება სიცივეს, არცა სიცივეს; რომ ხარჯის ღონის-ძიებაც არა ჰქონდეს, სიღნაღლის სომხილამ, რაც უნდა დიდი სარგებელი იყვის, ფულს დაისესხებს და დღეობაში წასვლას კი არ მოიშლის.



შორის გზის ეკლესიების თაყუანის ცემას ასრულებენ; ამავე გვარად ასრულებენ ქიზიყის ეკლესიების დღეობებსაც. მხოლოდ რაიცა შეეხება თავიანთ სოფლის ეკლესიების დღეობების გარდახდას, იგი სხვა არის, აქ ყოველი ქიზიყელი, მდიდარი, ღარიბი, გარდა იმისა, რომ ეკლესიის კარზედ დახვალს ზვარაკებს, აგრეთვე გარდახდის დიდს მფხლიშს, აი ამ რიგათ: წინა საღამოთი სხვა სოფლებიდან მიიწვევს ათი-დამ ოც-და-ათამდე სტუმარს იმ ღამეს ეკლესიის კარზედ დიდს ღვინით და ღვინით საფეხ ჯიხვების ტრიპლით გაათენებენ; ამას ეძახიან ღვინისთევას; მეორეს დღეს, რა გამოვა წირვა, მასპინძელი ისევე ამ სტუმრებს გაიწვევს ოჯახშია, გაშლის მხიარულს სუფრას და საღამომდე განუწყვეტლად სმენ და ღვინობენ, საღამომდე ზოგნი წაელენ, ზოგნი კი მეორეს დღესაც ამავე სუფრას უსხედან და იმდერაინ ძველებურს ქიზიყურს სიმღერას: „შუბლი მუხასაო გარს ეხვევოდა და სხვა.“

თუ რომელიმე ქიზიყელი თავის ეკლესიის დღეობას არ გადახდის, იმას ცოლი და შვილი, მკობელი და ნათესაი გაჰკიცხენ; ამისაგან, ღონის-ძიება აქვს თუ არ აქვს, ეს მოვალეობა კი უნდა აღასრულოს. ბევრს მათგანს არ აქვს პური, არც ღვინო, ფული ხომ ვინ მისცა, აგრეთვე არა ჰყავს საკლავი; მაშ რითი და რა ღონის-ძიებით ასრულებენ ამ წესს? სულ ვალით და ვალით.— ქიზიყელი, ხუთის ან ექვსის დღის წინათ ავა სიღნაღელს სომეხთანა, დაუწყებს ღრუბას:—ღვინობა მაქვს და ფული მასესხეო, სომეხი ჯერ გაუნაზღვრება, რომ დიდი სარგებელი გამოსტყუოს, შემდეგ კი მისცემს ფულს, თუმცა ათ შაურობაზედ, ანუ მეტათ და მანვე ჩამოართმევს მტკიცე ვექსილსა სარგებლის ზედ შეკეცთა. ასე ამ რიგათ საწყალი ქიზიყელები, იმის გარდა, რომ ვალის აღების დღეობაზედ სომხის ყურმოპირილნი ყანა არიან, აგრეთვე ამ დღეობების გარდახდით ცივიდებიან ასეთს ვალშია, რომ თავს ვერა რითიმეღა ღონის-ძიებით ვერ იხწყევენ; ბევრნი მათგანი, ძალიან ხშირად სრულის წლის მოსავლას წინათ ჰყიდიან და აგირავენ; თითონ კი მრთელი მრგვალი წელიწადი იკვებებიან ისევე ვალით.

ამ გვარს ხარჯს ქიზიყელი წელიწადში იქმენ,—ზოგის სოფლისანი ხუთჯერ, ამისთვის რომ ზოგ სოფელში სამი ეკლესია და ზოგში ხუთი.

ამას გარდა იციან უანგარიზო ხარჯი: ნათლობაში, ნიშნობაში, ქორწილებში და ქელცხში; ამასთანავე უყვართ ძვირფასად და მოდაზედ ჩაცმა დასანიშნი ქალ-ვაჟის და პატარძლების,—ნაუღით, ფარჩით, ხავერდით და სხვათა ოქროსა, ვერცხლის და თვალ-მარგალიტის სამკაულებით შემკობა.

ეს ყოველივე, რაც აგიწერეთ, განა საკმაო მიზეზნი არ არიან ქიზიყელთ დაცემისა და სიღარიბისა?

სოფელს ბოდბისხევი მიძინების მღვთის მშობლის ეკლესიის მრევლი არის 120 კომლი. ამ ეკლესიას დღესასწაულობენ 15 აგვისტოს. შარშან შემთხვევით მომიხდა იქ მისვლა და ერთმა ამ სოფლის მცხოვრებთაგანმა მიაშობა: „ჩვენმა უფროსმა ამ ეკლესიის მრევლის დღეობის ხარჯი დაწერილებით იანგარიშაო და ხუთასი თუმანი შედგაო.“ მრთს დღეობაში ამათ რომ ამდენი დაეხარჯათ, სოფელ მზანის მცხოვრებთ (107 კომლია), რომელნიც ყოველს წელს დღესასწაულობენ რვა ეკლესიის დღეობასა, იმათ რამდენი დაეხარჯებათ?

პრ არის დიდი ხანი, რამდენთავე ჩემს მეგობართ ქიზიყელებთან მქონდა რჩევა, რომ დღეობები ამოეკვეთნათ; მარამ ყველასაგან ეს პასუხი მივიღე: „როგორც დედისა და მამის საფლავის დაფიცება არ შეგეძლია ისე ამ ჩვეულებისა ჩვენგან დაფიცება არ იქნებაო.“ აქ ამათ მიამბეს, რომ ჯუგაანის მამასახლიმა ორის წლის წინათ თავის საზოგადოებას აუკრძალა ძელი-ცხოველის ეკლესიის დღეობის აღსრულება (7 მის) მარამ საზოგადოებამ მაინცა-და-მაინც თვისი ჩვეულება არ მოშალა და მამასახლისსაც კინადამ კობლები უფსკენსო.“

მართალიც არის: ზოგი ჩვეულების აკვეთა, არამც თუ ამ ჩვენს გაუნათლებელს ქიზიყშია, არამედ სხვა განათლებულ ქვეყნებშიაც დიდათ სამძიმოა. ქიზიყელებთაგან ამ ჩვეულობათა ერთბაშად მოსპობა შეუძლებელია; ამას თვით დრო მოუტანს. აი ესლა მათი შეილები იზრდებიან შკოლებში; როგორც ისმის, მასწავლებლები კარგათ თურმე ასწავლიან,—ესენი შეასრულებენ რა სწავლასა, შეიტანენ ტკბილს ნაკოფ; თავის თვალ-დახუჭილს საზოგადოებაშია და მითა, იმეღია, გაასწორონ ძველთაგან დანერგილნი ნაკლულევენები; მარტოდ ამ განათლებას შეუძლიან შთათბეროს ქიზიყელთ სიცოცხლე და ამოიყვანს იგი სიღარიბიდან;—ამის მეტს ღონისძიებას მე სხვას ვერა რას ვბოვებ და არც თუ მგონია სხვისგან ვისგანმე მოიგონების.

ქიზიყელი შაჟი ბერტყაძე

ზემო იმერეთი, გორგობისთვის ვ.ს. წარსულ ღვინობისთვის ერთი ძრიელი მოძრაობა შეიქნა ჩვენს ეკლესიის გალაგანში; ეს იყო კვირა დღეს ნაწირევის ისე, რომ ეს რომ ნასადილევს ყოფილიყო კანცელარის წინ, სწორეთ მაჭრით დამთვრალი ხალხი გვეგონებოდათ, რადგანც წელს თუმცა ცოტა არის ღვინის მოსავალი, მაგრამ რაც არის, ღმერთმა კაი მოგცეს, ცეცხლივით ღვინოა!

მეც ამ გროვა ხალხს შეუერთდი კი რა ვნახე: ერთი ჩვენი სოფელი ბიჭი მოსულა ძალაქიდან, სადაც ერთ სოფელსაგან ემსახურება თურმე და სადაც იმას დაუსწავლია წერა-კითხვა და ქართულ გაზეთებს დიდს გულ მოდგინებით კითხულობდა თუ-

რმე. ამ კაცმა ერთი გაზეთი მოიტანა „ღროების“ მე 109 ნომერი და იმას უკითხავდა ხალხს; ხალხი პირველს იწერდა: „ახა, დიდება შენდა ღმერთო, ეს ბარათაშვილის ქერიის სიკვდილი საიღამ გაუგიათო! პრისტავმა და გამოძიებელმა ვერა გაიგეს-რა, ისე გამოიცივალენ ორივე და საქმი დაფიცებაში მიეცა და ამ გაზეთს ვინ შეატყობინაო!“ ეს ჩვენი ორატორი გვიხსნიდა, კორცესპონდენტი მისწერდა, ამას, რომ კული არ გამოებას არ იქნებოა. პრ გასულა ორი კვირა და მკვლევები დაიჭირეს.

სოფელის ბიჭმა ხომ ამიხსნა, კორცესპონდენტი თუ რა არის, ეხლა მე ვიკისრე კორცესპონდენტობა თქვენი, ბატონო რედაქტორო, და გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთში ჩემს შემდეგ განცხადებას:

სოფელს ზ—ში არის ერთი მოსახლე აზნაური. ს. ბ.; შეძლებით კარგი შემძლე ოჯახის, ასე რომ ბევრი თავადი შეილიც შენატრის მის ცხოვრებას; უზრუნველათ შეუძლია იცხოვროს; მაგრამ ფლიდ თავ-მოყვარეობას იმოდენზე მიუყვანია, რომ მხოლოდ ხალხს ეშინოდეს მისი და არა ბოროტებას არ ერიდება; ნამდვილი ყვენია. ძაცისკვლა და დაწვა მისი ხელიდან გამოდის და ამით დიდი პატივი აქვს.

ამას წინეთ წარსულ წლებში გლეხებთ, მცხოვრებთ სოფელს ზ—ში და შავლაშვილებს ჰქონდათ შეკრებილება, რომ თავისი მამულები და თვითვე შერაცხილ იყვენ სახაზინოდ, მეფის სიგელის ძალით, რომელიც მათ ჰქონდათ. მათ ერთი გლეხთაგანი ამოიჩიეს ვეკილათ და სიგელიც მას მიანდევს. აზნაურმა ს. ბ. ეს ვეკილი შეიპყრა, მეფის სიგელი გამოსტაცა და კიდევ ცეცხლი წაუკიდა საბძელს და დაუწვა; ასე შეაშინა ეს გლეხი, რომ, იჩივლა კი არა სულიც ვეღარ დაბერა.

იმავე სოფლის მღვდელმა მ. აზნაურს ს. ბ. მისცა დარიგება, რომ მოსპოს სიყვარულის კავშირი ერთს უახლობელეს ნათესავთან, რადგანაც არა თუ ჩვენ რჯულში, არამედ მაჰმადიანებსაც სწამთ თავისი დის-წული ნათესავათა. ამაზე გამწარებულმა აზნაურმა მრევლი გაუყენა და აჩივლა მღვდელზე; შემდეგ მიძინარეს წაუკიდა ცეცხლი და ისე გადაფუჭა, რომ თუმც თვით გამოასწრო ცოლ-შვილით გარეთ; მაგრამ თითო პერანგის-ამარა დარჩენ. მღვდელმა იჩივლა; მაგრამ ვერ დაუბტკიკა.

მხლა დანიშნა საჩხერეში ერთი ახალი გამოძიებელი უფ. მუთათელიძე, რომელსაც ერთი ღირსება აქვს—ის რომ ქართველია და თარჯიმანი მაინც ვერ მოატყუებს თარჯიმანი, როგორც ეს ხშირათ მომხდარა ხოლმე, რადგანაც ჩვენ უმეცარ თარჯიმნებს მოწმეების ნათქვამი სულ უკუღმა უთარგმნიათ. ბარათაშვილის ქალის მოკვლის საქმეს ამ ახალმა გამოძიებელმა მარჯვედ

მოჰკიდა ხელი; იმან დაატყუა რამდენიმე აზნაური. მ გრამატიკაში ამას ვიტყვი, რომ ძრიელ გამოცდილი გამოძიებელი უნდა აქ, რამ არ დაიბნას და ჩვენ დახლორთულის საქმეებისა რამე გაეგოს.

ზოდელი

უსსო ქვეყნები

ღმის ამბავი. ამ ნოემბრის შეიღს ხონტქრის ბრძანებით, სტამბოლში შეკრებილნი ყოფილან მსმალოს ყველა წარჩინებული პირები და მინისტრები კონფერენციაში მსმალოსაგან მონაწილეობის მიღების თაობაზე. ამ კრებას გადაუწყვეტია, რომ მსმალომ კონფერენციაში უეჭველად უნდა მიიღოს მონაწილეობაო. მსმალეთის წარმომადგენელად კონფერენციაზე დანიშნული არიან მიტატფაშა და საფეტფაშა.

— მრთს ნემეცურს გაზეთში დაბეჭდილია საინტერესო ცნობანი შესახებ მსმალოს საომრად მზადებისა მცირე აზიაში. მოგვეყვს ამ ცნობებიდამ შემდეგ ჩვენთვის უფრო საინტერესო ალაგები:

„საშინელს მოძრაობაშია ამ ქჟამდ მსმალეთის მმართველობა; ყველგან ემზადებიან, ყველგან თოფ-იარაღს აკეთებენ, ჯარებს აგროვებენ და წრთენიან.

„ეს გარემოება ამტკიცებს, რომ მსმალეთი დარწმუნებულია, რომ უბრძოლველად ისა და რუსეთი ვერ მორიგდებიან!

„შველზე უფრო გაცხარებული მზადება მცირე აზიაშია. მურთებს სიჩქარით ჰკრეფენ და ჯარში შეჰყავთ. მარტო ერთს მსმალეთის სომხეთიდან 30 ბატალიონი ნიზამი უნდა გამოიყვანონ. შთავერესი ჯარი დახანაკებულია და ახლაც კიდევ აგზანენიან ქარსში, ტრაპიზონს, პრზრუმს და სინოპს, რომელსაც რაც ღონე აქვთ, ამაგრებენ, რადგან იციან, რომ რუსებიც აქეთკენ მოაწეებიან.

„სინოპის ნავსადგურში ამჟამად დიდ-ძალი ფლოტია (სამხედრო ხომალდები) მსმალეთისა და ამ მოკლე ხანს აქ მოვლიან ჰომარტფაშას, რომელიც მსმალოს შავ ზღვის ფლოტის უფროსად არის დანიშნული. შველა ხომალდების უფროსებად და აგრეთვე თვით ჯარის მთავარ აფიცრებად მსმალოს მმართველობამ ინგლისელი აფიცრები დანიშნა, რომელნიც ზღვაში ყველა სხვა ხალხზე უფრო გამოცდილნი და დახელოვნებულნი არიან.“

— „ს. პეტერბურღის უწყებებში“ დაბეჭდილია, როგორც თვითონ ეს გაზეთი გეაცნობებს, ნამდვილი წყაროდამ შეტყობილი ამბავი, რომ „ბერმანია დაჰპირდა რუსეთსაო, რომ თუ აესტრია რუსეთისა და მსმალე-

